ცაგერის მუნიციპალიტეტის მერთან გამართული თათბირის

ო ქ მ ი

ქ.ცაგერი სექტემბერი

თათბირს ხელმძღვანელობდა ცაგერის მუნიციპალიტეტის

მერი - ა.უგრეხელიძე

თათბირს ესწრებოდა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე - გ.გუგავა

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ მერის მოადგილეები:

მერის პირველი მოადგილე გ.მახათაძე

მერის მოადგილე მ.მეშველიანი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები: ზ.ხეცურიანი

მ.ლეთოდიანი, დ.ჩაკვეტაძე, ბ.ფურცხვალაძე, გ.კვირიკაშვილი,

ს.გვიშიანი, დ.ლეთოდიანი, რ.ახვლედიანი, დ.ჩიქოვანი,

გ.მამარდაშვილი

მერიის განყოფილების უფროსები: ი.ბურჯალიანი, თ.დავითულიანი,
თ.მეშველიანი, თ.ბენდელიანი, ხ.სანთელაძე, ლ.კენჭუაშვილი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

სოფლის საერთო კრებებზე მერის ანგარიშის განხილვისას გამოთქმული შენიშვნების და წინადადებების განხორციელების შესახებ.

მომხს: ზ.ხეცურიანი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის
უფროსი

მოისმინეს: სოფლის საერთო კრებაზე მერის ანგარიშის განხილვისას გამოთქმული
შენიშვნებისა და წინადადებების განხორციელების შესახებ.
ზ.ხეცურიანი

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მოთხოვნათა შესაბამისად 2018 წლის აგვისტო-სექტემბერში მთელი რიგ ადმინისტრაციულ ერთეულებში და სოფლებში ჩატარდა სოფლის საერთო კრებები, სადაც განხილული იქნა მერის ანგარიში 2017-2018 წლის აგვისტომდე გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიში კრებებზე გამოთქმული შენიშვნების შესაბამისად გადამუშავდა და განსახილველად ოქტომბრის პირველ ნახევარში წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს. სოფლის კრებებში მერთან ერთად მონაწილეობდნენ სამსახურის უფროსები, საკრებულოს მაჟორიტარი წევრები, რესპუბლიკური ორგანოების ადგილობრივი წარმომადგენლები (სოცფონდი, რესურსცენტრი, შ.ს.ს. რაიონული სამმართველო, ბურსათის უვნებლობა და სხვა) 21 სოფლის კრებიდან 16-ში ანგარიში წარადგინა თვით მუნიციპალიტეტის მერმა, 5 შემთხვევაში კი მერის მიერ უფლებამოსილმა პირმა.

კრებებმა ძირითადად მხარი დაუჭირა და მოიწონა მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარდგენილი ანგარიში. აღინიშნა იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც მუნიციპალიტეტში განხორციელდა. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საკმაოდ ბევრი სამუშაო იქნა გაწეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით, გზების, ხიდების შეკეთებლად, წყალსადენების მოსაწესრიგებლად და სხვა.

ამასთანავე კრებებზე გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც საქმის გამოსწორების, მუშაობის გააქტიურების მიზნით უნდა განხორციელდეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა კონტრაქტორი ფირმის „ორბიტას" მიერ სამუშაოების შეუსრულებლობის, ან უხარისხოდ შესრულების საფუძველზე, სამწუხაროდ „ორბიტას" ბევრ სოფელსა და დასახლებულ პუნქტში ჯერ კიდევ არ დაწყია სამუშაოები. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება წყალსადენების მოწესრიგებას სოფ.ორბელში, ჩხუტელში, აღვში, ლუხვანოში, ოყურეშს, ლაილაშში და სხვა დასახლებულ პუნქტებში და სოფლებში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განხორციელებული პროექტების შესრულების ხარისხს. მოსახლეობასთან კავშირის განმტკიცების მიზნით სასურველია ზოგჯერ მოხდეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გამსვლელი მიღებები ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც მოსახლეობას უფრო მეტი საშუალება ექნება შეხვდეს მათ და თავისი მოსაზრებები თუ თხოვნები გაუზიაროს.

ადმინისტრაციულმა სამსახურმა მოამზადა კრებებზე გამოთქმული შენიშვნებით და წინადადებებით განხორციელების ღონისძიებათა გეგმა, სადაც კონკრეტულად არის მითითებული შესრულებაზე პასუხისმგებელი და შესრულების დრო. პროექტი წარმოდგენილია თქვენს წინაშე, გთხოვთ, განიხილოთ.

აზრი გამოთქვეს: თ.მეშველიანმა, ი.ბურჯალიანმა, მ.ლეთოდიანმა,
გ.მამარდაშვილმა,ს.გვიშიანმა, ა.ხენდელიანმა, დ.ჩაკვეტაძემ,
რ.ახვლედიანმა, გ.კვიეიკაშვილმა, გ.მახათაძემ, მ,.მეშველიანმა,
გ.გუავამ, ა.უგრეხელიძემ

თათბირმა დაადგინა:

1. მიღებული იქნეს შესასრულებლად კრებულზე გამოთქმული შენიშვნების განხორციელების გეგმა (თან ერთვის).
2. გეგმაში მოცემულ კონკრეტულ შემსრულებლებს დაევალოთ ყველაფერი იღონონ, რომ ეს სამუშაოები შესრულდეს დროულად. რაიმე შეფერხების შემთხვევაში მომმართოთ ან მე ან მოადგილეებს.
3. ადმინისტრაციულმა სამსახურმა (ზ.ხეცურიანი) კონტროლზე აიყვანოს ღონისძიებების განხორციელების საკითხი და პერიოდული ინფორმაცია წარმოადგინოს მერთან.
4. ოქმის ჩანაწერი დაეგზავნოს ყველა სამსახურს, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს და გამოიკრას საინფორმაციო დაფებზე.

საოქმო ჩანაწერი აწარმოა ზ.ხეცურიანმა

საოქმო ჩანაწერი სწორია:

ზ.ხეცურიანი

სოფლის კრებებზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განხორციელების

გეგმა

NN	სოფელი	შენიშვნის, წინადადების შინაარსი	შესრულების დრო	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1.	ა)უსახელო ბ) შუა აღვი გ) ლაილაში დ) ბარდნალა ე)ჩხუტელი ვ) სურმუში ზ) თაბორი თ) ოყურეში ი) ორბელი კ) ლაჯანა ლ) სპათაგორი მ) ლუხვანო ნ) ჩქუმი-ქულბაქი ო) ოფიტარა პ) ზუბი ჟ) ინუსდელი მახურა	შიდა სასოფლო გზების მოწესრიგების აუცილებლობა. - მერიის ხარჯებიდან შეძენილი იქნეს საწვავი. - გაფორმდეს კონტრაქტი ჩვენს მიერ დაფუძნებულ შპს „მტპ"-სთან. - გზების მოწესრიგებაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოს მოსახლეობას. - მობილიზაცია გაუკეთდეს ყველა მძიმე ტექნიკას (ტრაქტორები, ბულდოზერები, ავტოამცლელები, გრეიდერები) და ჩართული იქნეს აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში	სპეცგრაფიკით სექტემბერი-ნოემბერი 2018 წელი	გ.გასვიანი ს.გვიშიანი თ.მეშველიანი მ.ლეთოდიანი გ.მამარდაშვილი დ.ჩიქოვანი	
2.		განიხილოს შპს „ორბიტასთან" ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი და შესაბამისი სანქციების დაკისრებაც იქნეს გათვალისწინებული	სექტემბერი	დ.ჩიქოვანი ი.ბურჯალიანი	
3.	ა) ჩხუტელი ბ) დოღურაში გ) ლაილაში	წყალსადენების მოწესრიგების აუცილებლობა	სექტემბერი	გ.მახათაძე დ.ჩიქოვანი ს.გვიშიანი	

	დ) ორბელი ე) აღვი ვ) კენაში ზ) ლუხვანო თ) ქვ.ცაგერი ი) ტვიში კ) ნაკურალეში ლ) ლასურიაში	ა) შეძენილი იქნეს შესაბამისი დიამეტრის მილები და გადაეცეს ადმინისტრაციულ ერთეულებს. ბ) პირველ რიგში განხორციელდეს ისეთი წყალსადენების შეკეთება, რომელიც მხოლოდ ტრასის შეკეთებას ითვალისწინებს, ხოლო სათავე ნაგებობების და სხვა მნიშვნელოვანი საინჟინრო ნაგებობებით შეკეთდება განხორციელდეს უინფრასტრუქტურული პროექტებით		ბ.ყურაშვილი ჯ.მურცხვალაძე მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში	
4.		2019-2020 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები საკრებულოსა და გუბერნიაში წარდგენამდე განხილული იქნეს ადმინისტრაციულ ერთეულებში, „მრჩეველთა საბჭოზე'' და მერიის [illegible]	ნოემბერი დეკემბერი 2018 წელი	ზ.ხეცურიანი ს.გვიშიანი გ.მამარდაშვილი დ.კოპალიანი თ.დავითულიანი	
5.		ადმინისტრაციულმა სამსახურმა 2019 წლის დასაწყისისათვის წარმოადგინოს წინადადებები სოფლებში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებში გამსვლელი შეხვედრების ჩატარების შესახებ.	იანვარი 2019 წელი	ზ.ხეცურიანი ი.ბურჯალიანი	

ადმიბნისტრაციული სამსახურის უფროსი ზ.ხეცურიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ ა.ალაკრეხელიძეს

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის

ზ.ხეცურიანის

მოხსენებითი ბარათი

2018 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარებულ სოფლის საერთო კრებებზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების განხორციელების ღონისძიებათა გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

ბატონო ავთანდილ,

თათბირის დავალების შესაბამისად მოგახსენებთ, რომ გეგმაში გათვალისწინებული საკითხების უმრავლესობა შესრულდა, კერძოდ:

ა) შესყიდული იქნა დიზელის საწვავი სექტემბერში - 2000 ლიტრი, ოქტომბერში - 2000 ლიტრი და ნოემბერში 2300 ლიტრი. რომელიც ძირითადად (5700 ლიტრი) მოხმარდა დასახლებულ სოფლებში შიდა სასოფლო გზების მიმდინარე შეკეთებებს. სამუშაოები ძირითადად განხორციელდა მოსახლეობის მხარდაჭერითა და შესაბამისი ტექნიკის მხარდაჭერით.

ბ) შესყიდული იქნა 2018 გრძივი მეტრი 32 მმ.წყლის შლანგი, რომელიც გადაეცა სოფლებს (ლუხვანო - 100 მ, ქვ.ცაგერი - 150 მ, აღვი - 600 მ, ტვიში - 400 მ, ორბელი - 250 მ, ნაკურალეში - 200 მ. დოღურაში - 150 მ, ჩხუტელი - 300 მ, და სხვა), აღნიშნული მასალით მოსახლეობის ძალით შეკეთდა წყალსადენის მაგისტრალები, მოხდა მათი ორმოული დაფარვა და სხვა. ამჟამად რამდენიმე სოფელში გრძელდება აღნიშნული სამუშაოები.

გ) დავალების შესაბამისად შპს „ორბიტას" შეუწყდა ხელშეკრულება და გამოცხადდა ახალი ტენდერი, რომელიც უკვე დასრულებულია, გამოვლენილია ლოტების მიხედვით გამარჯვებულები და მიმდინარეობს ხელშეკრულებების გაფორმება.

დ) 2019-2010 წლების ინფრასტრუქტურული პროექტები მერის წარმომადგენლებმა ადმინისტრაციულ ერთეულებში განიხილეს მოსახლეობასთან, გამოაკრეს საინფორმაციო დაფებზე, ჩატარდა „მრჩეველთა საბჭოს" სხდომა და განსახილველად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რომელიც განხილვის შემდეგ გადაეგზავნება სამხარეო ადმინისტრაციასა და სამინისტროს.

ე) მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის გამსვლელი შეხვედრების წესის დამუშავებაზე, რომელსაც დამატებით წარმოგიდგენთ.

ამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თქვენი ანგარიშის განხილვისას გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები გათვალისწინებული იქნა და შესრულდა, თუმცა სოფლებში კვლავ ბევრი პრობლემაა, რომელიც დამუშავება და შესაბამისად ღონისძიებების გატარება სჭირდება.

პატივისცემით

ადმინისტრაციული სამსახურის

უფროსი ზ.ხეჩურიანი